

შპს „ქაპ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. ამონაგები რეალიზაციიდან	9
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	9
7. არასაოპერაციო შემოსავალი	10
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
9. კომერციული ხარჯები	10
10. საპროცენტო ხარჯი	10
11. ძირითადი საშუალებები	11
12. ფული და ფულის ექვივალენტები	12
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
14. გადასახადები	12
15. მარაგები	12
16. მიღებული სესხები	12
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13

შპს “ქაპ ჯორჯია”

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5	7,925,060	7,373,437
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	20,270	84,961
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(7,383,084)	(6,973,881)
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული			
პირდაპირი ხარჯები	6	(314,483)	(203,163)
საერთო მოგება		247,763	281,354
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	85,350	203,803
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(283,766)	(181,872)
კომერციული ხარჯები	9	(335,602)	(292,749)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(286,255)	10,536
საპროცენტო შემოსავალი		2,229	708
საპროცენტო ხარჯი	10	(62,345)	(91,719)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(95,878)	(45,676)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		45,381	19,682
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(72,402)	(21,056)
ზარალი დაბეგვრამდე		(469,270)	(127,525)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(469,270)	(127,525)
წლის სრული ზარალი მისაკუთვნებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(452,489)	(77,684)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(16,781)	(49,841)
		(469,270)	(127,525)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 25 სექტემბერს:

ალექსანდრე იმნაძე
დირექტორი

შპს "ქაპ ჯორჯია"

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5	7,925,060	7,373,437
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	20,270	84,961
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(7,383,084)	(6,973,881)
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული			
პირდაპირი ხარჯები	6	(314,483)	(203,163)
საერთო მოგება		247,763	281,354
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	85,350	203,803
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(283,766)	(181,872)
კომერციული ხარჯები	9	(335,602)	(292,749)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(286,255)	10,536
საპროცენტო შემოსავალი		2,229	708
საპროცენტო ხარჯი	10	(62,345)	(91,719)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(95,878)	(45,676)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		45,381	19,682
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(72,402)	(21,056)
ზარალი დაბეგვრამდე		(469,270)	(127,525)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(469,270)	(127,525)
წლის სრული ზარალი მისაკუთვნივლი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(452,489)	(77,684)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(16,781)	(49,841)
		(469,270)	(127,525)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 25 სექტემბერს:



შპს “ქაპ ჯორჯია”

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,594,257	1,706,995
ბიოლოგიური აქტივები		71,164	71,163
არამატერიალური აქტივები		15,173	15,801
სხვა გრძელვადიანი აქტივები		640	558
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,681,234	1,794,517
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	12	338,319	331,866
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	572,425	749,264
მისაღები პროცენტები		-	708
საგადასახადო აქტივი	14	49,978	95,118
მარაგები	15	954,488	662,393
სულ მიმდინარე აქტივები		1,915,210	1,839,349
სულ აქტივები		3,596,444	3,633,866
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,407,376	2,407,376
დაუფარავი ზარალი		(1,889,117)	(1,436,628)
კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი		518,259	970,748
არამაკონტროლებელი წილი		(66,622)	(49,841)
სულ კაპიტალი		451,637	920,907
გრძელვადიანი სესხები			
	16	162,648	254,686
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		162,648	254,686
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	2,767,258	1,198,082
მოკლევადიანი სესხები	16	204,007	1,242,697
საგადასახადო ვალდებულებები		7,943	15,234
გადასახდელი პროცენტები		2,951	2,260
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,982,159	2,458,273
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,596,444	3,633,866

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
31 დეკემბერი 2018	2,407,376	(1,358,945)	1,048,431	-	1,048,431
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(77,683)	(77,683)	(49,841)	(127,524)
31 დეკემბერი 2019	2,407,376	(1,436,628)	970,748	(49,841)	920,907
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(452,489)	(452,489)	(16,781)	(469,270)
31 დეკემბერი 2020	2,407,376	(1,889,117)	518,259	(66,622)	451,637

1. კორპორატიული ინფორმაცია

ქაპ ჯორჯია (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2007 წლის დეკემბერში. შპს ქაპ ჯორჯიას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო მომსახურების უზრუნველყოფა, ღვინის წარმოება და ექსპორტი, კაკლისა და თხილის ექსპორტი. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქტების ძირითადი ბაზარი ევროპაშია. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205233488.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს ქ., 37/4, ბ. 35.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილის მფლობელები იყვნენ:

- ალექსანდრე მოწერელია - 49.00%
- სააქციო საზოგადოება COMMODITIES AND PRODUCTS INDUSTRIES-CAP Industries, საფრანგეთი - 51.00%.

შპს ქაპ ჯორჯია (შემდგომში ჯგუფი) თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიაში წილს:

კომპანიის დასახელება	საქმიანობის ტიპი	წილი%
შპს „აერკომპანი“	საიჯარო მომსახურება თხილის გადარჩევა	51%

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამეტი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარჩების გამოკლებით. ჯგუფს არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს ჯგუფში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ბიოლოგიური აქტივები. მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიწია მრავალწლიანი ნარგავების იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად.

მარაგები გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტისა. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი. ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველად აღიარდება როგორც სასაქონლო მატერიალური მარაგი და ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. საწყისი აღიარებისას მიღებული მოგება აისახება ერთიანად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვაობა ფაქტიურ სარეალიზაციო ფასსა და საწყისი აღირების ღირებულებას შორის, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეალიზაციისას როგორც, მოგება/(ზარალი) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის რეალური ღირებულების ცვლილებიდან.

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან:

	2020	2019
შემოსავალი თხილის რეალიზაციიდან	7,853,930	7,229,166
შემოსავალი ღვინის რეალიზაციიდან	40,418	57,813
შემოსავალი ნიგვზის რეალიზაციიდან	30,712	19,154
შემოსავალი შავი წიწაკის რეალიზაციიდან	-	67,304
სულ ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	7,925,060	7,373,437

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან:

	2020	2019
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან	15,526	39,504
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	4,744	38,771
შემოსავალი თხილის გადარჩევა-შეფუთვის მომსახურებიდან	-	5,351
შემოსავალი კომუნალური მომსახურებიდან	-	1,335
სულ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	20,270	84,961

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2020	2019
გადაუმუშავებელი ნედლეულის თვითღირებულება	(7,161,092)	(6,741,668)
ზედნადები ხარჯები	(221,992)	(232,213)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(7,383,084)	(6,973,881)

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(221,011)	(112,390)
ცვეთა და ამორტიზაცია	(65,803)	(77,123)
სხვა ხარჯები	(27,669)	(13,650)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(314,483)	(203,163)

შპს “ქაპ ჯორჯია”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. არასაოპერაციო შემოსავალი

	2020	2019
მოგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თავდაპირველი აღირებიდან და რეალური ღირებულების ცვლილებიდან	79,757	115,025
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	5,593	1,946
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	86,832
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	85,350	203,803

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(164,271)	(97,354)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	(32,000)	(12,085)
საგადასახადო ხარჯი	(29,686)	(32,968)
კომუნალური ხარჯები	(20,062)	(14,193)
ბანკის საკომისიო	(4,446)	(3,233)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(33,301)	(22,039)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(283,766)	(181,872)

9. კომერციული ხარჯები

	2020	2019
დისტრიბუციის ხარჯები	(309,566)	(269,971)
რეკლამის ხარჯები	(11,354)	(13,459)
სხვა მიწოდების ხარჯები	(14,682)	(9,319)
სულ კომერციული ხარჯები	(335,602)	(292,749)

10. საპროცენტო ხარჯი

	2020	2019
საკრედიტო ხაზის პროცენტის ხარჯი	(20,612)	(36,722)
სხვა სესხების საპროცენტო ხარჯი	(41,733)	(54,997)
სულ საპროცენტო ხარჯები	(62,345)	(91,719)

შპს “ქაპ ჯორჯია”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობები და ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2018	239,164	1,402,783	687,021	71,373	86,974	33,142	16,167	2,536,624
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	683	1,391	4,953	4,093	3,960	15,080
გასვლა	(39,858)	-	-	-	-	-	-	(39,858)
31 დეკემბერი 2019	199,306	1,402,783	687,704	72,764	91,927	37,235	20,127	2,511,846
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	4,125	254	76	847	-	1,640	6,942
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	199,306	1,406,908	687,958	72,840	92,774	37,235	21,767	2,518,788
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი 2018	-	(315,126)	(226,315)	(53,500)	(57,185)	(23,812)	(5,878)	(681,816)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(57,846)	(44,608)	(7,291)	(8,916)	(2,175)	(2,199)	(123,035)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	(372,972)	(270,923)	(60,791)	(66,101)	(25,987)	(8,077)	(804,851)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(57,848)	(44,241)	(3,844)	(7,399)	(2,415)	(3,933)	(119,680)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	(430,820)	(315,164)	(64,635)	(73,500)	(28,402)	(12,010)	(924,531)
ნარჩენი ღირებულება								
31 დეკემბერი 2019	199,306	1,029,811	416,781	11,973	25,826	11,248	12,050	1,706,995
31 დეკემბერი 2020	199,306	976,088	372,794	8,205	19,274	8,833	9,757	1,594,257

12. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო დაწესებულებებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულსა და ფულად საშუალებებს.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	443,516	591,906
მოკლევადიანი ავანსები	108,134	34,874
გაცემული მოკლევადიანი სესხები	-	102,755
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	20,775	19,729
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	572,425	749,264

14. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

15. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მზა პროდუქცია	612,211	596,111
დაუმთავრებელი წარმოება	255,734	14,465
ნედლეული და მასალები	3,424	2,693
სხვა მარაგები	83,119	49,124
სულ მარაგები	954,488	662,393

16. მიღებული სესხები**გრძელვადიანი სესხი**

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საბანკო დაწესებულებიდან მიღებული სესხი	დოლარი	7%	162,648	254,686

მოკლევადიანი სესხი

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საბანკო დაწესებულებიდან მიღებული სესხი	დოლარი	7%	173,454	147,017
საბანკო დაწესებულებიდან მიღებული სესხი	დოლარი	13%	30,553	110,625
საკრედიტო ხაზის ვალდებულებები	დოლარი	7%	-	690,555
იურიდიული პირისგან მიღებული სესხი	დოლარი	7%	-	294,500
სულ მოკლევადიანი სესხი			204,007	1,242,697

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მიღებული ავანსები	2,192,033	631,647
სავაჭრო ვალდებულებები	458,162	424,160
გადასახდელი ხელფასები	114,014	141,044
სხვა ვალდებულებები	3,049	1,231
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,767,258	1,198,082